წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი, 19 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი-პეტიტით ღირს 15 კ., ... 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 431 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 431

სოფიო დიმიტრის ასული ჩხატარაიშვილისა ქმარ-შვილით, ეკატერინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს ოცს აგვისტოს დილის 11 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათის დაუვიწყარი დის

ანასტასია (ტასიკო) დიმიტრის ასული ბაქრაძის,

290 სულის მოსახსენებლად. 1—1.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები.

ეს მოხდა გაზაფხულზე.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ხანჟონკოვის საზოგ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

მაკაკის ოინბაზობა.

მხიარული კომედია 2 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

მტრის ძალა.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ბ. იანუშევის, პავლოვის, ტეზაროვსკის და სხვ. მონაწილეობით

**გომონის ჟურნალი.** უკანასკნელი ამბები.

ცეკვისა და სიყვარულის გაკვეთილები სახუმარო.

**ანონსი: პარასკევს, 19 აგვისტოს 1916 წელს გაიხსნება საზაფხულო თეატრი „ამპირი". შესანიშნავი ახალი პროგრამა. დაუკრავს სამხედრო მუსიკის ორკესტრი.**

**ალექსანდრეს ქუჩი. „სალხინო ბაღი".**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში**

თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში.

მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ხელმეორე ეგზამენები 28-ს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

285 12—5.

ი ყ ი დ ე ბ ა

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ყურძნის საქაჩავი და ყურძნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხვრებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ჩ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევს 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ

**ექიმი ი. ჩარექიშვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავადმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს.

მისამართი: ლვავაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში

იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.

277 12—6

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

შავი ზღვის რკინის გზის გამგეობა—(ტუაპსე-ახალ-სენაკის ლიანდაგი) იწვევს მუშებს მიწის სამუშევრათ. ქირა, დღეში ორი მანეთი და უფასოთ დაეთმობათ ბინა, განათება და გათბობა. არტელებს შეუძლიანთ აიღონ პოდრიადები—უფროსებთან შეთანხმებით. მსურველნი უნდა ჩაეწერონ ქ. ქუთაისში (სასტუმრო გრანდ-ოტელი № 7). უდოკუმენტოთ მუშები ნუ გამოცხადდებიან

289 1—1

# მსოფლიო ომი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 17 აგვისტო. ქ. დვინსკის ჩრდილოეთით ჰაერში ბრძოლა მოხდა. ჩვენმა მფრინავმა გერმანელთა ფოკვერი ჩამოაგდო, მაგრამ იგი მტრის მიწა-წყალზე ჩამოვარდა. მდ. ბისტრიცაზე მტრის წინსვლა მოვიგერიეთ. კარპატებზე ნადვორნაიას დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რაფაილოვი (ბისტრიცაზეა) და უნგრეთის საზღვარზე მდებარე მთა პონტერი დაიპყრო. ამასთანავე ჩვენმა ჯარმა უნგრეთის საზღვარს მიაღწია 25—30 ვერსის სიგრძეზე

**კავკასიის ასპარეზი.**

ოგნოტის მიდამოებში მომხდარ ბრძოლებში ჩვენ დავატყვევეთ 7 აფიცერი (ერთი მათგანი ბატალიონის უფროსია) და 333 ჯარისკაცი და ორი ტყვიისმფრქვეველი. ნიმრუდ გელის ტბის სამხრეთით ჩვენ ოსმალებს ტატილის ღელეში შესასვლელ სიმაღლეებისკენ დავახევინეთ. მოსულის მიმართულებით ჩვენ ვსდევნეთ მტერი, დაყარა მან იარაღი, სამხედრო მასალა ტყვეები და გაიქცა.

**პარიჟი.** 16 აგვისტო. შუადღის ოფიციალური ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეთა აღმოსავლეთით ფრანგებმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ შესამჩნევათ წინ წაიწიეს და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს. საღამოს 9 საათზე სოფ. ფლერიზე ორი იერიში მიიტანეს, მაგრამ ვერასფერ შედეგს ვერ მიაღწიეს და დიდად დაზარალდნენ. დანარჩენ ასპარეზზე დროდადრო საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიჟი.** 15 აგვისტო. ცნობა ახლო აღმოსავლეთზე მოქმედების შესახებ. სტრუმა-ლიუმნიცის არემარეში ზარბაზნების სროლაა. ცარის აღმოსავლეთით მოულოდნელ წინსვლას სერბიელნი განაგრძობენ და უკანასკნელ დღეებში შესამჩნევად წინ წაიწიეს ვეტრენყუ-დოროგებანიცი ოსტროვოს მიმართულებით. ბულგარელთა სამი იერიში, მიუხედავად დიდი წინასწარ საარტილერიო მომზადებისა მაინც მოგერებულ იქნა მათთვის დიდი ზარალით. ამ ნაწილში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. კავალის დასავლეთით ბულგარელებმა დაიპყრეს ბერძნების მიერ მიტოვებული სოფლები. ბულგარელთა მტკიცების წინააღმდეგ, კუკურუზთან სერბიელები არამც თუ დამარცხებულან, არამედ შესამჩნევადაც წინ წაუწევიათ და მოწინააღმდეგე დაუზიანებიათ.

**ათინა.** 16 აგვისტო. ვენიზელოსის მომხრეების მიტინგი უზარმაზარ დემონსტრაციათ გადაიქცა. ასი ათასამდე კაცი და ქალი ვენიზელოსს ესალმებოდენ და გაიძახოდნენ: „ძირს ბულგარეთი, გაუმარჯოს მოკავშირეებსო".

**პარიჟი.** 16 აგვისტო. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში არაფერი საყურადღებო არ მომხდარა. ასპარეზის უმეტეს ნაწილში სამხედრო მოქმედებას ცუდი ამინდი ხელს უშლიდა.

**ჰავრი.** 16 აგვისტო. ბელგიის ოფიციალური ცნობა. ასპარეზის სხვადასხვა ნაწილში საშუალო ძალის საარტილერიო სროლაა. დიქსმიუდეს ჩრდილოეთით იზერის ნაპირზე საღამოთი მკაცრი ბრძოლა მოხდა ხელის ყუმბარებით ამ ალაგას არტილერია ენერგიულად მოქმედებდა.

**ათინა.** 15 აგვისტო. ვენიზელოსის მომხრეთა გუშინდელ მანიფესტაციის საპასუხოდ ათინის ოლქის რეზერვისტების კონტრ-დემონსტრაცია მოხდა.

**სტოკჰოლმი** 17 აგვისტო. რუმინიაში მყოფ ავსტრია-უნგრეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა ჰოლანდიის მთავრობამ თავს იდვა.

**ლონდონი.** 16 აგვისტო. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან უამინდობა მაინც უშლის ხელს კიდევ მოქმედებას. უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ადგილობრივი ბრძოლები ხდებოდა ხელის ყუმბარების სროლით. დელვილსა და ფუროს შუა ინგლისელებმა გერმანელთა ბარიკადა აიღეს. ტიეპვის აღმოსავლეთით ინგლისელებმა წინ წაიწიეს. ამ ბრძოლების დროს ინგლისელებმა რამდენიმე კაცი დაატყვევეს. არმონტიერის აღმოსავლეთით ნევშაპელის-გრანიეს ტყის ხაზზე ინგლისელების არტილერია მარჯვედ მოქმედებდა.

**რომი.** 16 აგვისტო. იტალიის მთავარ ბინის ცნობა. მიუხედავათ ცუდი ამინდებისა იტალიელებმა მაინც ნახეს შესანიშნავი წარმატება მონტემაის ჩრდილოაღმოსავლეთის კალთებზე. პოზენის ველზე ავსტრიელებს დიდის ზარალით უკან დაახევინეს; იტალიელებმა დაატყვევეს 20 კაცი. მათში რამდენიმე აფიცერიცაა. მონტეჩიმონზე თავის სასანგრო ზარბაზნების მარჯვე მოქმედების წყალობით, იტალიელებმა მოწინააღმდეგეს ჩრდილოეთით უკან დაახევინეს. ვპასის ალპების და ავიზიოს მიდამოებში 2495 მეტრის სიმაღლეზე მდებარე პოზიცია იტალიელებმა მარდად გაამაგრეს და მარჯვედ იცავენ. აქ მათ დაატყვევეს 30 კაცი, მათში აფიცრებიცაა. სირის მთაზე ზედა კერლეველზე კასტელეტო ტეფანაზე და ბუტა ფელლის ღელის ზედა ნაწილში იტალიელთა პოზიციებს ავსტრიელები მკაცრად უშენდენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

პორტუგალია-ისპანიის შორის დამოკიდებულობა თანდათან მწვავდება მათი დავა სელის კუნძულების გამო სწარმოებს.

— —

გერმანიაში სამხედრო მთავრობას მოუთხოვია რომ გერმანული ძხვის წარმოება დამზადების საქმე მებრძოლ ჯარისათვის სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის ხელში გადავიდეს

— —

ოსმალეთის სამხედრო და უმაღლეს სასწავლებლებისთვის გერმანიას 30 პროფესორი გაუგზავნია.

— —

ინგლისის ჰაეროპლანებმა საროსის ყურესთან (ოსმალეთი) ყუმბარები ჩამოჰყარეს, დაზიანებულია ჯარის სადგომი ყაზარმა

— —

ფრანგული გაზეთები დიდი ქება დიდებით იხსენიებენ საფრანგეთის ფრონტზე მებრძოლ რუსის ჯარის მიმამაცეს.

— —

საფრანგეთ-გერმანიის ასპარეზზე გერმანელებმა კონტრ იერიშები დაიწყეს.

— —

ინგლის ფრანგების ჯარმა ფლიორენტიოშენთან ოდნავ წინ წაიწიეს.

— —

ინგლისის არტილერიას ამ ბოლო დროს დიდი გაუმჯობესება დასტყობია. იგი თურმე არ ჩამოუვარდება გერმანელების არტილერიას, 20 წუთში სროლილობს 100 ყუმბარამდე.

— —

მაკედონიის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. ფორტ რუპელიდან ახალი ჯარი მოუვიდათ.

— —

გერმანელების ცეპელინები კვლავ ესტუმრენ ინგლისის აღმოსავლეთის სანაპიროებს და რამდენიმე ყუმბარები ჩამოყარეს. დაზარალდენ კერძო მცხოვრებნი.

— —

ნორვეგიაში გერმანელები სპილენძის ფულს ყიდულობენ.

— —

ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელებს ინგლისის წყალქვეშა გემი „პურიტანი" ჩაუძირავათ.

— —

რუსეთის წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულის გამგეობა პროტესტს უგზავნის სხვადასხვა სახელმწიფოთ, სადაც აღნიშნულია გერმანია ოსმალეთის ბარბაროსული მოპყრობა წითელ ჯვრის სასანიტრო და საჰოსპიტლო გემებისადმი, რომელთაც ყოველთვის თავის სათანადო ნიშანი აქვთ, მაგრამ ოსმალ-გერმანელები მაინც არ ინდობენ მათ და სძირავენ.

— —

ჰავასის სააგენტო დიდის ყურადღებით იხსენიებს მაკედონიის ფრონტზე ბრძოლების გაცხოველებას და ამბობს, რომ მაკედონიის ფრონტი მეორე ხარისხოვან ფრონტის ადგილს დაიჭერსო.

— —

მინსკის სამხედრო სასამართლოში დასრულდა 30 პოლონელის საქმე, რომელთაც სახელმწიფოსადმი ღალატი ბრალდებოდათ განაჩენი სასამართლოს ჯერ არ გამოუქვეყნებია.

— —

ჰქერის მახლობლად ჩაიძირა დანიის გემი „ხაბეტი".

— —

დანიის გემი „ავანტო" გერმანელებმა დაატუსაღეს.

— —

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** დვინსკთან რუსებმა გერმანელთა ერთი ფოკჯერი ჩამოაგდეს, მდ. ბისტრიცაზე ავსტრიელთა წინსვლა შეაჩერეს. კარპატებზე მათ სოფ. რაფაილოვი და სიმაღლე პონტერი დაიპყრეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ნიმრუდ-გელის ტბის სამხრეთით რუსებმა ოსმალებს უკან დაახევინეს ტატილის ღელისაკენ. მოსულის მიმართულებით ნერისთან ოსმალები დამარცხდნენ და თავზარ დაცემულნი გაიქცნენ.

**დასავლეთის ასპარეზი.** ვერდენთან, ტომონის აღმოსავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს. სოფ. ფლერზე გერმანელებმა ორი იერიში მიიტანეს, მაგრამ ვერა გააწყეს რა. დელვილ-ფუროს ხაზზე ინგლისელებმა ერთი ბარიკადა აიღეს. ტიეპვის აღმოსავლეთით ინგლისელებმა წინ წაიწიეს. ასპარეზის დანარჩენ ნაწილებში საარტილერიო ბრძოლა იყო ზოგ ალაგას. საერთოდ ფართე მოქმედებას ხელს უშლიდა ძლიერი უამინდობა.

**იტალიის ასპარეზი.** პოზინოს ველზე იტალიელებმა ავსტრიელებს უკან დაახევინეს. მონტე ჩიმონზე ავსტრიელებმა ვერ გაუძლეს იტალიელთა ზარბაზნების სროლას და უკან დაიხიეს. ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში იტალიელთა პოზიციებს ავსტრიელები მკაცრად უშენდნენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** სტრუმის აღმოსავლეთით ლომნიცამდე საარტილერიო ბრძოლაა. ვეტრენიკის მიმართულებით სერბიელები კვლავ წინ მიიწევენ. მათ მოიგერიეს ბულგარეთა სამი იერიში. საარტილერიო ბრძოლა ამ ადგილში გრძელდება. ბულგარელებმა დაიპყრეს ბერძნების მიერ მიტოვებული დაბა-ქალაქები.

---

როგორც კოპენჰაგენიდან იუწყებიან ბავარიის მეფე მძიმე ავად გამხდარა.

— —

იტალიის ფრონტზე ბრძოლაში ოსმალები შეუნიშნავთ.

— —

ბითლის მუშის რაიონში გაცხარებული ბრძოლაა „რუსკ ვედ" სწერს: ან ოსმალები აღარ შეეცდებიან მუშის დაპყრობას და ან სხვა ადგილას დაიწყებენ შემოტევასო.

— —

ბელგიაში 710,000 უმუშევარი ყოფილა. მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვანდერველდეს თათბირი ჰქონდა.

— —

მონღოლეთში გერმანიას აგენტები გაუგზავნია სპილენძეულობის საყიდლად.

— —

ჰინდენბურგს მთელ ფრონტზე შეტევის დაწყება განუზრახავს.

— —

ავსტრიის ჰაეროპლანებს პლოცკისთვის ყუმბარები დაუშენია.

— —

კავკასიის ასპარეზზე მოსულის მიმართულებით ოსმალებს ახალი პოზიცია დაუკავებიათ.

— —

ბალკანეთის ასპარეზზე ბულგარელებმა ორმაკის ხიდს ყუმბარები დაუშინეს.

— —

რუმინეთის ელჩმა სთხოვა პეტროგრადის უფროსს იქ მცხოვრებ რუმინელთა სიის შედგენა, რათა დროზე ჯარში გაიწვიონ.

გერმანიაში დაარსდა ახალი დამოუკიდებელი პარტია, რომელიც საჩქაროდ ზავის ჩამოგდებას მოითხოვს.

— —

ბულგარეთში 38 დეპუტატი სამართალში მისცეს, მათ ბრალდებათ გენადიევის მომხრეობა და ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებთან ჯაშუშობა.

— —

მდინარე სომმაზე ბრძოლაში მოჰკლეს პრინცი ლუიბურატი.

— —

იაპონიამ ცინდაოსთან მდგომი ჯარები ჩინეთის საზღვარზე გადაიყვანა.

— —

ბულგართა ჯარი კავალთან დიდის სიმამაცით იბრძვის, დანარჩენ ადგილებში იგინი გერმანიის შტაბის ბრძანებას ელოდებიან.

— —

შეთანხმების სახელმწიფოთა დაპირებით მათ სასარგებლოდ ბრძოლის ველზე გამოსვლისთვის რუმინია მიიღებს: ტრანსილვანიას, კანატს, ჩერნოვიცს და რუშჩუკ ვარნას ხაზს.

— —

სალონიკში ბევრი ბერძენი მებრძოლ ჯარში მოხალისეთ ეწერება.

— —

საბერძნეთის სამეფო წრეში და მაღალ ავტორიტეტთა შორის დიდი მითქმა მოთქმაა, ჯარი და მთავრობა ორ ბანაკად გაყოფილა, მოსალოდნელია ვენიზელოსის პრემიერის ადგილზე დაბრუნება.

— —

რუმინიის სამეფო მთავრობა სარეზიდენციოდ ქ. იასში გადადის.

— —

დუნაის ნაპირებთან რუმინიის პატარა ფლოტი გამოჩნდა.

— —

რუსეთში მიწად მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს აკრძალოს ცხენების დაკვლა.

— —

რუსეთის სამხედრო შტაბს განზრახვა აქვს სალონიკში გადასხმული ჯარი პირდაპირ ბულგარელების წინააღმდეგ წაიყვანოს.

— —

სმირნის დასაცავად ოსმალებმა გერმანიიდან მიღებული ჰაეროპლანი გაგზავნეს.

— —

გერმანელებს გამოუგონიათ ახალი მოძრავი სპილენძის ქვაბები, რომელშიაც მდუღარე წყალი სდგას, რომელსაც მტრის ჯარს რეზინის მილებიდან სახეში ასხამენ.

## მორიგი საჭირო საკითხი.

სამოსწავლებელო წლის დასაწყისი ახლოვდება და ყოველი ქართველი მშობელი ვისაც კი სკოლაში აღსაზრდელი შვილი ჰყავს საშინელ საგონებელს ეძლევა. რა არის ამის მიზეზი? იქნება ჯერ სავსებით ვერ შეუგნიათ სწავლის საჭიროება?

არა, საბედნიეროდ განათლება სწავლა აღზრდის საჭიროება საქართველოში უკვე კარგა ხანია შეიგნეს მაგრამ სავალალოის არის, რომ ჩვენში იმ თავიდანვე ვერ მოეწყო სასურველი სასწავლებლები და არა თუ სასურველი, ამ ბოლო დროს არსებულ სკოლებშიაც ქართველი მშობელი თავის ყრმისთვის ადგილს ვერ შოულობს დასავლეთი საქართველო ცნობილია სწავლისადმი მისწრაფებით.

მის დედა ქალაქ ქუთაისში არსებობს ბევრი სხვა და სხვა ხასიათის სასწავლებელი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ ეს მცხოვრებთა მოთხოვნილებას თითქოს ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ სკოლის გარედ დარჩენილი მოზარდეები იძულებული არიან სხვა უცხო ქალაქებში დაიწყონ სასწავლებლებში შესასვლელ ადგილის ძებნა, თუ სადმე მიებარენ მათ ორმაგ ხარჯის გაწევა უხდებათ, რაც ძალიან მძიმე და აუტანელ ლოდათ აწვება ხოლმე მათ ღატაკ მშობლებს. ასე იქცევიან ვაჟები, მაგრამ ამ მხრივ მეტად უნუგეშოა მოსწავლე ქალების ბედი. ისინი შორეულ ქალაქებში ვერ მიდიან, ადგილობრივ კი ვაკანსია არ არის.

ქალების ასეთ ყოფისაგან დასახსნელად და მათი სწავლის საქმის გასაუმჯობესებლად რამდენიმე პატივცემულმა პირმა გახსნა კერძო სასწავლებლები.

ასეთებია მაგალითად ყაუხჩიშვილის და ხოჯივანიშვილის სკოლები, რომლის უკანასკნელ კლასშიც ე. ი. ·კურსის დამთავრებისას სამოსწავლო ოლქიდან გამოცდას დეპუტატი ესწრება საიდანაც გამოცდილ მოწაფეთ უფლება აქვთ გამოუცდელად შევიდენ სახაზინო სასწავლებლების შემდეგ კლასებში. წელს ხოჯივანიშვილის ქალთა სასწავლებელი 60 ქალმა გაათავა, მაგრამ უმრავლესობა მთავრობის სასწავლებლის გარეშე რჩებიან, რადგან მეხუთე კლასში ვაკანსიები არ ამოჩნდა. მათი მშობლები სასოწარკვეთილებას მისცემიან, მაგრამ სასოწარკვეთილება ამ არა სასურველ მდგომარეობიდან გამომყვანი ვერ იქნება და საჭიროა საქმითი სათანადო ზომების მიღება.

ზომების მისაღებად ჩვენი აზრი ასეთია. რომელთა შვილებიც სასწავლებლის გარეშე რჩებიან, არსებულ 4 კლასიან კერძო სასწავლებლებშივე უნდა გახსნან შემდეგი კლასები ან დაიქირაონ სათანადო ბინა, სადაც უნდა მოიწვიონ მასწავლებლები სახაზინო სასწავლებლებიდან.

ყველაზე უფრო კეთილ ასარჩევი გზა კი ჩვენის ფიქრით კერძო სასწავლებლების გახსნა იქნება, რომელიც როგორც უკვე ცნობილია ... რით ექცევა თავის მოწაფეთ და ცხოვრებაშიც უფრო მომზადებულს უშვებს*) მით უმეტეს, რომ დღეს კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვის აღება ისე საძნელო აღარ არის როგორც ეს წინად იყო.

1914 წ. 2 ივლისის კანონის ძალით ყველას შეუძლიან კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვა აიღოს მშობლებმა ამ კანონით. უნდა ისარგებლოს და საქმეს შეუდგეს.

შეიძლება ამ თავად, მშობლებმა ვერ შესძლონ სასწავლებლის გასახსნელად საჭირო თანხის შეგროვება მაგრამ აქ შეიძლება სასწავლებლის რამდენიც მოსახერხებელი იქნება იმდენი კლასის გახსნა და იმდენივე მასწავლებლის მოწვევა, მხოლოდ შემდეგში თანდათანობით მომატება ეს შესაძლებელია, რადგან მოწაფეთა რიცხვი საკმაოდ არის. საჭიროა ქუთათურმა მშობლებმა მოიწვიონ კერძო თათბირი და საკითხის ვითარებას ყოველი მშობელი შესაფერისად დაუკვირდეს.

კარგი იყო ამ საკითხისთვის ქუთათურ მშობლებს ამდენ ხანსაც მიექცია ყურადღება და ცდილიყო მის მოწესრიგება, მაგრამ „სჯობია გვიან ვიდრე არადროს" და ჯერ მაინდამაინც არც დაგვიანებულია.

მშობელთაგანი.

*) სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მშობლები, ისე მოწაფეები ძალიან გულგრილად ეკიდებიან ეგრედ წოდებული „**კერძო**" სასწავლებლებს... „მთავრობის სასწავლებლები" კი რაღაც სანტაროდ მიაჩნიათ. ეს რასაკვირველია აიხსნება მშობელთა და მოწაფეთა უმრავლესობის შეუგნებლობით. კარგად დაყენებული კერძო სასწავლებელი არაფრით არ ჩამოუვარდება მთავრობისას, ვინაიდგან პირველი საქმე ცოდნა და აღზრდაა და არა გარეგნობა და სახელი!

რედ.

# ახალი ამბავი.

**ხვალ, შაბათს, 20 აგვისტოს დაბა ზესტაფონში გაიმართება იუბილე თეოფილე ხუსკივაძისა, მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო.**

✦ გიორგი ზდანოვიჩის ავადმყოფობა 14 აგვისტოს გ. ზდანოვიჩთან დ[ა] ქობულეთში შეიკრიბენ ტფილისიდან, ქიათურიდან და ბათომიდან ჩამოსული ექიმები; ს. ვირსალაძე, მ. გედევანიშვილი, მ. შატილოვი, ს. ჯაფარიძე, ა. თუმანიშვილი და ადგილობრივი ს. ბენაშვილი და გასინჯეს; გასინჯვის შემდგომ ექიმები შემდეგ აზრს დაადგნენ: მძიმე ქრონიკული გულის ავადმყოფობის ნიადაგზე 20—21 ივლისს მოხდა

## იმედის ნაპერწკალი.

(სადღეისო)

ნელა გაიღო სახლის კარი ორი და დედა კაცი ფრთხილად გამოვიდნენ ეზოში ისინი გაემართნენ მახლობელ ჰიშკარისაკენ რაღაც პატარა გამოკრულებით ხელში დადგნენ კარებთან და ისევ სახლისკენ იცქირებოდნენ სახლიდან სანთლის შუქი მქრთალათ გამოდიოდა, ღარიბი გლეხის ქოხში ეძინათ ოთხს ბავშვს. უკანასკნელი ცხრა წლის გოგონა და უფროსი კი ხუთმეტი წლის იოსები გულიანათ ხვრინავდნენ, შუათანებსაც აგრე რიგათ არ აწუხებდათ რა, მჭიდროთ ჩაეხვიათ მკლავები ერთი მეორესთვის და მისცემოდნენ უდარდელ მოსვენებას. რა იცოდნენ პატარებმა თუ მათი საყვარელი მამა დღეს სტოვებს მათ, სტოვებს მარტოხელ უვაჟკაცო ოჯახს და მიდის იქ სადღაც შორს მათთვის წამოუდგენელ ქვეყანაში, საცა სხვა მეზობლები წაიყვანეს, მიდის ჯარის კაცათ რათა მოჰკლას ვინმე ან თავად შეაკვდეს ჰო და ესენი არცერთი არ იცოდნენ სიკოს მცირე წლოვანებმა და ამიტომაც ეძინათ არხეინათ. სიკო აგერ ათი წუთი მეტია ადგას თავზე შვილებს უნდა დაიხაროს ერთხელ მაინც ეამბოროს ერთხელ მაინც დაჰკოცნოს თავის პირმშონი და წავიდეს ისე; ვინ იცის იგებ უკანასკნელი იყოს ეს კოცნა ვინ იცის მეტათ ველარ იხილოს სიკოს თვალებმა თავისი ღარიბი ცოლი, მოხუცი დედა, შვილები და თავის ქვეყანა, ყველა ეს ერთად უტრიალებს ვაჟკაცს გონებაში და სულს უფორიაქებს,. მაგრამ ვერ დაიხარა, ვერ აკოცა ყმაწვილებს ეშინია არ გაიღვიძონ, არ შეუდგეთ ჟრიამული ალიაქოთი წავა თავს დაახწევს და მერე როგორც უნდა უთხრას დედამ, განუმარტოს საქმის ვითარება მე—კი ვერა ვერ შევძლებ გაუმაგრო თვალი მაგათ ცრემლებს ნელა დაიხარა მამა მხოლოდ მძინარეთა ლოგინს ორი მსხვილი ცრემლი დაეცა ჯარის კაცის თვალთაგან გული რომ არ აჩვილებოდა ხმაურობა არ აეტეხა საჩქაროთ განშორ და საწოლს ერთი თვალი მოავლო. ქოხს კარებთან შედგა კიდევ გადახედა შვილებს და კიდევ ნელა გაიხურა კარები... იქვე ხის ძირში მიბმულ საქონელსაც დაჰხედა ოჯახის კაცმა, თავის საყვარელ ხარებს გამოეთხოვა...

— შენ გამიწიე ჩემი მაგიერობა ჩემო ლვინია, ნურც შენ ჩამორჩები უღელში ჩემო ნიშა თქვენ დამირჩინეთ წვრილი ცოლშვილი ჩემო იმედებო წაელაპარაკა რთგულ პირუტყვთ ჩაიბარა უმუშოთ დარჩდილი ოჯახი და წავიდა. ჰიშკართან შედგა ცოლს დედას შეხედა, რომლებიც უსიტყვოთ ქვის ქანდაკებას დამგზავსებოდნენ:

— დედა აბა დამლოცე იქნება შენმა ლოცვა კურთხევამ დამიფაროს მტრის ტყვიისაგან და დაგიბრუნდე შვილი.—და გაუჩერდა დედას წინ.

— გაკურთხოს შვილო მაკურხებელმა დაგიფაროს მთავარ ანგელოზმა და არ გაამწაროს შენი დედა შენზე დაგიფაროს ამ ძელის ჯეშმარიტმა ბაბუა შენსაც ეს ხატი უტარებია გულზე თათართან ბრძოლის დროს მასაც ბევრი ქარცეცხლი გადახედია მარა ვაჟკაცი უვნებლათ დაბრუნებულა იგრემც შენს თავს დამიბრუნებს მამიშენის სალოცავი, ყოჩაღათ იყავ და მარად გახსოვდეს რომ წმინდა გიორგის ძელის ჯეშმარიტს ატარებ გულზე და ეს დაგიფარავს მტრის მახვილიდან. გარდასახა დედამ პირს ჯვარი და ფრთხილად გარდაჰკიდა კისერზე რკინის ძეწკვით პატარა ხატი.

გადაკოცნა შვილი და ჩამოდგა განზე.

— შენ რაღა გითხრა ჩემო ტასო შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ ცოხალი აღარ დავბრუნდე ბოვშებს გზა მიე, ნუ დააგდებ ჩემსავით სიბნელეში... სიბნელეში... გეუბნები, მივალ მივალ და რისთვის ან ვისთვის კი არ ვიცი ჰო ეს დიდი სიბნელეა აშორე ჩვენ შვილებს ეს უვიცობა ოჯახის რა გითხრა... შენ იცი და შენმა ქალობამ.

— ნუ გეფიქრება ჩემო სიკო! ღმერთმა შენი თავი დაგვიბრუნოს და თუ თათარმა არ გადაგვილეკა ერთ ჩიტსაც არ ავაფრენ შენს ეზო გარეშემო... ბავშებსაც მოუვლი შენ ნუ იდარდებ... გეხვეწები ქალალდი ხშირათ მოგვწერე და გვამცნობე შენი ამბავი და ისე ქვეყნისა...

ცოტა ხანს კიდევ გასტანა გამოთხოვებამ წალმა დაბრუნებული სიკო შარაზე გადავიდა და ქალები კი ჩუმათ შებრუნდნენ სახლში.

II

მეორე დილით ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძა იოსებს, სახლში მხოლოდ ბავშვებს ეძინათ გარედან დედის ხმა ისმოდა იოსები წამოხტა და პერანგის ამარა გამოხტა კარში ყმაწვილი სახტათ დარჩა რა დაინახა რომდედა ურემში ხარებს აბამდა და ბებია კი ფარდებს უმაგრებდა ურემზე. .

— ეს რა არის, ეს რას ნიშნავს ურემს დედა და ბებია უვლიან მამა სადღაა ამ დროს? თუ მართალია ჩემი სიზმარი...?

— დედა! მამა სად არის...? გაეხმაურა.. ქალებმა ერთი მეორეს შეხედეს თითქოს შეჰკითხეს ერთმანეთს გაუმჟღავნოთ თუ არაო...

გონიერი იოსები უკვე მიხვდა რომ რაღაც დიდი საქმე იფარებოდა მისგან..

— სად იქნება შვილო —სცადა ტასომ.

— არა დედა, თქვენ ურემს რათ აწყობთ თუ მამა იყოს ამ არე მარეზე რა თქვენი საქმეა ესა.?.

— არა დედა, თქვენ ურემს რათ აწყობთ თუ მამა იყოს ამ არე მარეზე, რა ოქვენი საქმეა მართალი ხარ შვილო გენაცვალოს ბებია, შენ გონიერი ბიჭი ხარ და ყველაფერს ადვილად მიხვდები... მამა შენი ჯარში გაიწვიეს როგორც სხვები, როგორც შენი მასწავლებელი და ისიც წავიდა...

— როდის? -იკითხა იოსებმა და სახეზე ფერი სრულიად აუკრთა.

— წუხელის შვილო... ოჯახი შენს ამარა დატოვა და ბევრი რამ დაგვაცლა შვილო სწავლაც და სახლობის გამოკვებაც..

— კარგი და რატომ არ მითხრა, რატომ არ გამაგებინნეთ?..

— ცრემლები, ცრემლების შეეშინდა შვილო...

— ცრემლები... ბოვში ხომ არ ვიყავი,.. მწარეთ ჩაეცინა იოსებს და მის ყმაწვილურ სახეზე რაღაც მჭმუნვარების ხაზი აღიბეჭდა... ის ერთს ხანს იდგა გარინდებული,. შებრუნდა სახლში, ტანთ ჩაიცვა, ამ ხანში ყმაწვილებიც წამოიშალნენ ლოგინებიდან, დედამ საგზალი მოამზადა, მთელი დღის სარჩო კალათით ჩასდგა ურემში... ყმაწვილები ყველა ცოცხლათ პირ დაბანილნი წიგნებით ხელში გამოვიდნენ კირზე და როდესაც პირველი მზის სხივი გადაყვითლებულ სიმინდს დაეცა, მაკრინემაც შეაჩერა ურემი მათ სამ ქცევიან ჭალაში .. მთელი ოჯახი ურემს ეხვია იოსები-კი ღრმათ ჩაფიქრებული შორით მოჰყვებოდა ურემს წიგნებით ხსნა ..

— შვილო თქვენი გზა რათ გაიმრუდეთ .. გაეშურეთ შკოლისკენ... იქ არის ქვეყნის ხელა ,.

— არა უშავს დედა მოვასწრობთ, ცოტას წაგეხმარებით და მინამ მოვიდოდეთ მარტოს გეყოფათ სამუშაო მიუგეს ბავშვებმა, ყველას სახე ნაღველსა და დაღვრემილობას მოეცვათ, მარა ეტყობოდა ჭკუიან და გულ მაგარ დიდედას გზაში ენუგეშებინა ბავშვები გაემაგრებინა და ეხლა ესენიც თითქოს დიდის ხნის მომზადებულნი იყვნენ ამ შემთხვევისთვის, წარბ შეკრულნი და ტუჩებ მოკუმულნი ამოძრავებდნენ თავიანთ, პაწია ხელებს. ხარები გამოეშვათ და ნაპირში მიბმული გულიანათ შეექცეოდნენ გამხმარ მწვერი ფეხმა იოსებმაც მოატანა ფიქრიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, წიგნები ურმის აბილოზე დააწყო, ხალათი გაიხადა და მის მისვლამდის ავსებულ გოდორს დაავლო ხელი ურემში ჩასაყრელად. დები წამოეშველნენ და ასწია თავისუფლად, გოდორს გოდორი მისდევდა, უსიტყვოთ გაშურებით მუშაობდა მთელი ოჯახი.. მეზობელ მესაზღვრეთა ყანებშიც დაჩქარებული მუშაობა იყო, ყველა ეშურება ჰირნახული ჩქარა მიიტანოს სახლში, ჩქარა მოიმზადოს, ვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოუტანს თითოეულს ოჯახს.

— მზე სრულიად მოეფინა არე მარეს.

— ახლა დროა წავიდეთ სთქვა იოსებმა.. დედა, ჩვენს მოსვლამდის სადმე იქ დაახვავეთ სიმინდი და როცა მოვალთ..—უთხრა დედას, ხალათი ჩაიცვა ქამარი შემოიკრა, წიგნები აიღო, სხვებიც წინ გაირეკა და გასწია შკოლისკენ.

III

საღამოზე მესამე ურემს ჩამოუძღვა იოსები ურემი ზლაზვნით და ჭრიჭინით მოდიოდა და ყურთა სმენას აყრუებდა...

— გამიჭირდა საპონი მინდა, საპონი მინდაო თითქოიძახდაღერძა და ბორბლებიც ბანსაწევდნენ... დიდედა გამოეგებ იმას დაე წინაურებია, უკან-კი ყველა მოსდევდნენ, შავი მურაც კი დინჯათ მოჰყვებოდა უკან ურემს; დღეს მთელი დღე გზაში დაალამა მურიამ ხან შინ მიდიოდა ოჯახს დახედავდა, შინაურ წვრილ ფეხობას ამოუვლიდა დაათვალიერებდა, სახლის ლაფა-

ემბოლია სისხლის მილისა მარცხენა საფეთქლის ნაწილში, რომელმაც მაშინვე გამოიწვია მარჯვენა მხრის პარეზი (მსუბუქი სიდამბლე) სრული არევა სიტყვისა და ხასიათის საერთო მოდუნება. ეხლა პარეზი სავსებით გაჰქრა, მაგრამ დარჩა დანარჩენი მოვლენანი მცირე გაუმჯობესობით. ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულად მიჩნეულია, ხოლო სრულიადაც არ არის უარყოფილი შესაძლებლობა ყველა ამ შემთხვევით დაზიანებული ფუნქციების თანდათანობით აღდგენისა.(მეგობ)

✦ სტოროსელსკის გარდაცვალება. ქ. პარიზში გარდაიცვალა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი სტოროსელსკი.

განსვენებული გუბერნატორის მოვალეობას ალ. ყიფშიძესთან ერთად ასრულებდა. რევოლიციურ მოძრაობის დროს, უმაღლესმა მართლ მსაჯულებამ ალ. ყიფშიძეს და სტაროსელსკის ხალხის მომხრეობის ბრალი დასდო და ჩინები აჰყარა.

ამ ხნიდან სტაროსელსკი რუსეთს განშორდა და ქ. პარიზში ფოტოგრაფობა დაიწყო, განსვენებული 70 წლისა იყო.

✦ ქურდების დაჭერა. ადგილობრივმა პოლციამ დაიჭირა ქურდები ჩაჩხიანი და შალიკიანი, რომლებიც გამოტყდენ, რომ გაქურდეს ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. მესხი.

✦ შავი ქვის გარშემო. ინგლისის ბათუმელ ელჩი დაინტერესებულა ჭიათურაში მდებარე გერმანელთა მამულებს გაყიდვით და შეეკითხა სამიწათ-მოქმედოგამგეობას თუ როდის არის დანიშნული ვაჭრობა.

✦ მწვანილეულობის გახმობა. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სთხოვა სამიწად მოქმედო სამინისტროს, რომ გამოგზავნოს კავკასიაში რაც შეიძლება ბევრი მწვანილის გამხმობი სპეციალისტი. აგრეთვე აღიძრა საკითხი, რომ გაიხსნათ კავკასიაში საშვალო სკოლა, საიდანაც გამოვლენ ტეხნიკოსები რომელნიც ძლიერ იქნებიან საჭირო ეროვის შემოლების შემდეგ.

✦ ჩხუბი და მკვლელობა: სოფელ ქვედის მცხოვრებს (რაჭ. მაზრა) სერაპიონ ბიჭიას ძე მაისურაძეს და ალ. ვატიტაძეს მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბის დროს მაისურაძემ ვატიტაძეს თავში ჯოხი დარტყა. შეურაცხყოფილმა ვატიტაძემ რევოლვერით მოკლა მაისურაძე. საქმე გადაეცა რაჭის მაზრის გამომძიებელს.

✦ შეწირულება. ყოფილი ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ ბ. ფედოროვმა გაყიდა თავისი სახლის ავეჯეულობა, რომლის ფასიც გადასცა ქუთაისის ჯარის-კაცთა დამხმარე კომიტეტს.

---

როებს დასუნავდა, რამდენჯერმე ყნოსვით შემოურბენდა, ავ სულს ფეხი ხომ არ დაუდგამს ამ არე მარეზედო და ისევ ყანაში მიდიოდა.

ასე მუშაობს მთელი ოჯახი, გულს არ იტეხენ უნდათ არ დააჩინონ ოჯახს უმუშავრობა... იოსები კარგათ კითხულობდა დღემდის წიგნს, ხშირათ ჩაუჯდებოდა ოჯახში მყოფელთ და მაღლა უკითხავდა რაიმე მოთხრობებს მარა, დღეს სხვაა, სხვა დრო დაუდგა, შკოლიდან ყოველ დღეს ეზიდება გაზეთებს და შუა ღამემდის უკითხავს დედა და დიდედას სამივე გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს საქმის მიმდინარეობას.. საშინლათ უკვირდება იოსები ყოველ მანქანას აერში საფრენია იგი თუ ზარბაზანი დაკვირვებით ჩასცქერის ქაღალდებზე ბუნდოვანათ გადმოღებულ მანქანებს. ის გახდა გაყვითლდა ნახევარი ღამეები არ სძინავს ჰრაქი წინ უდგას და რაღაცეებს ხატავს, აუარებელი სქელი ქაღალდები უწყვია წინ და სჭრის დიდი მაგრატლით, აწებოებს სხვა და სხვა ფირფიტებით, დედა და დიდედა დაითხოვა: „ღამით არ დამელაპარაკოთ, ისეთი ძალა უნდა მოვიგონო, ორივე მხარე გავაშრო, გავაქვავო მათი მანქანები... შევსწყვიტო ყოველივე... ჰფიქრობს ჭაბუკი და სტეხს ღამეებს სხვა და სხვა ნაირ მოდებს აწყობს ერთი მეორეზედ აგრამ ყველას იწუნებს რაღაც აკლიაო.. ზაფრანის ფერად გადაქცეულს თვალები რაღაც მზნებარე ცეცხლით უბრწყინავს და იმ ცეცხლში გამოუკრთის იმედის ნაპერწკალი რომ გამოიგონებს. გამოიგონებს საშინელ რამეს ყველაზე ძლიერს. და მანქანაში შე...თქმულს ავიწყდება მამის ხვედრი, რომელიც იქნებ ეხლა დაფლეთილიც დია სადმე ბრძოლის ველზე.

მარიამ გარიყული...

---

✦ შაქარი სამიწაქ მოქმედო გამგეობას მსახურთა კოოპერატივმა მიიღო 130 ფუთი შაქარი. გირვანქა ღირს ერთი აბაზი.

✦ დაჯარიმება. ბ. ქუთაისის გუბენატორის განკარგულებით მეპურე ა. კსანდოპულო დაჯარიმებული იქმნა 25 მანეთით. სარძეოს პატრონმა ჩოროღვიანმა, რომელსაც ერთი თვის ციხე ქონდა მისჯილი, ციხეში ჩაჯდომის მაგივრათ ათასი მანეთი გადიხადა.

✦ წერილები. ახალი კანონის ძალით აკრძალულია საზღვარ გარე გასაგზან წერილებში მოიხსენიონ ცნობები ჯარში გაწვევის შესახებ დაჭრილ და დაბრუნებულ ჯარის კაცთა შესახებ, მუშა ხელის საჭიროებაზე და ხალხის სულიერ განწყობილებაზე.

✦ გამოცდები. ქუთაისის საბალოსნო სკოლაში მისაღები გამოცდები დაიწყება 19 ენკენისთვიდან.

✦ საგანგებო კრება. „რეგულიატორის“ გამგეობა მოაგონებს თავის წევრ—კოოპერატივებს, რომ მეორე საგანგებო კრება შესდგება 20 აგვისტოს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

✦ „რეგულიატორის“ შუამდგომლობა. ქუთაისის საკავშირო მომხმ. საზ. „რეგულიატორის“ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ბათუმის სასურსათო კომიტეტის წინაშე 30 ვაგონი სიმინდისა და 15 ვაგონი მარილის დათმობაზე. შუამდგომლობას მხარი დაუჭირა ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა გუდოვიჩმა. ამის შესახებ გამგეობის თავჯდომარე იასონ გაბილაია ამას წინად გაემგზავრა ბათუმს სათანადო პირებთან შუამდგომლობის აღსაძრავათ. კომიტეტის თავჯდომარემ ბ-მა ლაჩინოვმა აღუთქვა დახმარება და კიდეც, როგორც გამგეობის მიერ გაგზავნილი წარმომადგენელი ვლადიმერ ემუხვარი საგანგებო დეპეშით აცნობებს, გამგეობის თავჯდომარეს, გუშინ კიდეც შედგა იქ, ბათუმში, ამ საკითხის შესახებ საგანგებო კრება კომიტეტისა. გამგეობას სიმინდი და მარილი უკვე დაეთმო. გამგეობა თავის აზრით ამ სიმინდს მიაწვდის მხოლოდ ისეთ კოოპერიტივებს, რომელთაც შემოტანილი აქვთ ავანსი ან დაუყონებლივ შემოიტანენ გამგეობაში (ქუთაისი, თფილისის ქუჩა).

✦ გამგზავრება გუშინ დილის მატარებლით „რეგულიატორის“ რწმუნებული ბათუმს გაემგზავრა სიმინდისა და მარილის მისაღებად.

✦ უსინდისო ვაჭრების წინააღმდეგ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ ამ მოკლე ხანში გამოიცემა ახალი კანონი, რომლის ძალითაც ის ვაჭრები, რომელნიც 20—25 პროცენტით მეტს აიღებენ მყიდველისაგან აღიარებული იქნებიან, როგორც არა სასურველი ელემენტი ამა თუ იმ მხარეში და გაძევებული იქნებიან ამ მხარის საზღვრებიდან.

✦ ტუსაღები --ომში. თანამედროვე ომის დროს ბევრმა ტუსაღმა გამოაცხადა ჯარში წასვლის სურვილი. სატუსაღოთა უმთავრესმა გამგეობამ გამოსთქვა ის აზრი, რომ შეიძლება ტუსაღთა თხოვნა შეწყნარებული იქნეს. განძრახულია მოეწყოს სპეციალური ტუსაღთა ლაშქარი.

✦ ქურდობა. გუშინ ღამით ვიღაც ბოროტ გამძრახველი შეპარულა ვექილ გრ გიორგაძის ბინაზე და წაუღია სხვა და სხვა ტანსაცმელებთან ერთად 600 მანეთი ფული. ქურდი ვერ აღმოაჩინეს.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

— ძარცვა. სოფელ ზნაკვში, რაჭის მაზრაში ვიღაც ბოროტ გამძრახველმა გაძარცვა, მგზავრი სამსონ მხეიძე, რომელსაც 870 მანეთი წაართვა. ავაზაკი კიკვაძე პოლიციამ დააპატიმრა და გამოტყდა, რის შემდეგაც აღმოაჩინეს ფულიც. ფული სავსებით პატრონს ჩააბარეს.

— ქალის მოტაცება. 3 აგვისტოს ს. იანეთში ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებმა მოიტაცეს ახალგაზდა ქალწული ანა ფასვიაძისა. მომტაცებელნი აღმოჩნდნენ ივ. გ. საჯაია, ისიდორე და ნოე კოხრეიძე. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ისიდორეს დანიშნული ყოლია ქალი თებერვალში, მარა რადგანაც უკანასკნელს გაუგია, რომ მისი საქმრო სასალდათოა—უარი განუცხადებია. ეხლა ისიდორეს სხვა პირთა დახმარებით ქალის მოტაცება მოუსურვებია მარა პოლიციის დახმარებით ქალი აღმოაჩინეს. ქალი გადაეცა უვნებლათ პატრონს, ხოლო მომტაცებლები გამომძიებელს.

— ქალთა ჩხუბი. სოფელ სიმონეთში ელენტია ხუჯავამ დანით დასჭრა მეზობელი ნატალია ხუჯავა, ჭრილობა მეტად საშიშია.

---

# დაპყრობილ ერთა საკითხი.

როგორც არა ერთხელ გვითქვამს, მიმდინარე საერთაშორისო ომმა ნაკლებ ძალა უფლებიანი პატარა ერები მეტად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა.

დიდმა სახელმწიფოებმა პოლიტიკურ გამჭრიახობას მოკლებული ერები ავანგრდათ და შუაში გასაჭყლეტ საგნად გაიხადეს.

პატარა ერებისადმი ასეთ მოპყრობით დღეს, გუშინ მთლიანად არსებული რამდენიმე პატარა ერი წახდენილი დაპყრობილია.

თუ როგორი იქნება „დაპყრობის შემდგომ“ ხსენებულ ერთა მომავალი ყოფა, ან რა მოელის მათ სამუდამოდ „დამპყრობელს“, დარჩებიან, თუ მათ აღადგენს საერთა შორისო სამართალი? აი, ის მთავარი კითხვა, რომელიც ყველას ყურადღებას იქცევს

ამ კითხვის ოდნავ გასაშუქებლად უნდა ითქვას, რომ საერთა შორისო სამართალზე ლაპარაკი დღევანდელ მდგომარეობაში ზედმეტია, რადგან იგი, როგორც რაიმე ძალა უფლების წარმომადგენელი ორგანო აღარ არსებობს და ან თუ არსებობს ფორმალურად მას „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ არავითარ ანგარიშს არ უწევენ. მაშასადამე. პატარა ერებს საერთა შორისო სამართლის იმედი ველარ ექნებათ და ამ რიგად მათი მომავალი ბედი ისევ მათ დამქცევ დიდ სახელმწიფოებს რჩებათ გადასაწყვეტად, რომელნიც ცხადია ისე გადასჭრიან მათ საკითხს. როგორც ეს კერძოთ ესიამოვნებ-ესაჭიროებათ.

შევეხოთ რომელიმე დაპყრობილ ერის საკითხს. ასეთ ერთა შორის დღეს მოქცეულია რუსეთის კუთვნილი პოლონეთი. პოლონეთი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მსოფლიო ცეცხლში გახვია და მისი მიწა წყალი ორ ძლიერ იმპერის საომარ ასპარეზად გადააქცია. ამ ომის დროს ყოველმხრივ უკიდურესობამდე დაზარალდა პოლონეთის ხალხი.

გადიბუგა სოფლები, შესწყდა ვაჭრობა მრეწველობა, კულტურული მოძრაობა და ბოლოს ის საბედისწერო მოვლენა, რომ პოლონეთი გერმანიამ დაიპყრო. მტრის ჯარის პოლონეთის მიწა წყალზე შემოჭრის დროს მოხდა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი.

რუსეთის მთავრობამ მათ სრული ავტონომია ახარა რის მეტსაც არაფერს თხოვდენ პოლონელნი,

რუსეთის მთავრობის ასეთმა მოულოდნელმა წყალობამ დიდი გავლენა იქონია პოლონელებზე და მათ ლეგიონებიც შეადგინეს გერმანელებთან საბრძოლველად.

მაგრამ ამ ხანად შემოსული გერმანელთა ლაშქარი რუსის მხედრობამ ვერ შეაკავა და პოლონეთიც სავსებით გერმანიის ხელში გადავიდა.

ამ დღიდან პოლონეთის ავტონომიამაც სახე იცვალა.

დღეს რუსეთში ამბობენ: „პოლონეთის სამეფოებრივი აღდგენა რუსეთის მომავალ ცხოვრებისთვის ვერაფერი საკეთილოა, რადგან პოლონეთი რუსეთის ისტორიული მტერია და ამ ისტორიულ მტერს შეუძლიან ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის სამტროდ იბრუნოს პირი. ან რომელ ჯილდოთ უნდა მიეცეს დღეს პოლონეთს თავისუფლება, როდესაც იგი მტრის ხელშია და თუ დავიბრუნებთ ეს ჩვენი მხედრობის საქმე იქნება და არა პოლონელებისაო.

დღეს პოლონეთის საკითხის შესახებ რუსეთში ასე მსჯელობენ არა მარტო იმპერიალისტ-ბიუროკრატები, არამედ ისეთი ცნობილი პარტიებიც კი, როგორიც არის კადეტთა პარტია ღ პროფ. მიგულინი.

როგორღა ეპყრობა პოლონეთის საკითხს დღევანდელი მისი პატრონი გერმანია?

ის ცდილობს, რომ პოლონეთის ხალხის გული მოინადიროს და ამიტომ, თითქმის ყოველ მოთხოვნილებას უკმაყოფილებს, ამის დამამტკიცებელია, პოლონური უმაღლეს სასწავლებლის გახსნა, ქალაქის თვითმმართველობებში პოლონურენის შემოღება, მაგრამ ამას, ხომ რასაკვირველია, თავის სიკეთისთვის ჩადის და მხოლოდ მანამდის, სანამ პოლონეთი მისთვის საჭიროა, თორემ, ერთ დღეს გერმანიაც ისე მოექცევა პოლონეთის საკითხს, როგორც რუსეთი

აი, აქ არის საშინელება პოლონეთის ბედის, მას ორ ცეცხლ შუა უხდება ტრიალი.

ხელი გაუწოდოს გერმანიის წყალობათ, და ბედს შეურიგდეს, ვაი თუ ისევ რუსის ჯარმა დაიპყროს, სადაც მას მოღალატეობისთვის სამართალში მიცემა მოელის,

დღესვე აშკარად იყვეს რუსეთის მხარეზე აქ მას გერმანიის ეშინია: ამ რიგად პოლონეთს დასჭირდება დიდი ხრიკები და ოპორტუნისტობა, რომ არსებულ საშინელ ყოფას თავი დააღწიოს.

ამ რიგად, დაპყრობილ ერთა საკითხი სავსებით ძლიერ სახელმწიფოთა საკუთრებას შეადგენს და ესენი ისე გადასწყვეტენ მას, როგორც საკუთარ ინტერესისთვის საჭირო იქნება.

მხოლოდ მათი ამ დაპყრობილ ერებისადმი დაპირებანი იმ კოჭლ კაცს მოგვაგონებს, რომელიც წყალში გამომყვანს ეუბნებოდა. „შენ აწი აღარ მჭირიხარ, რა ქირა უნდა მოგცე, რადგან წყალში დავსველდი და თუ გავშრი, ეს ხომ შენი მოწყალებით არ იქნებაო“.

ser.

---

# ვითარება სოფლად.

## წერილი პირველი.

(სოფ. ოფიშკვითი.) ამ სოფელს ამჟამად ოფიშკვითს ვეძახით, უწინდელი სახელი კი ობიშკვითი იქნებოდა. სიტყვა „ობიშკვითი“ მეგრულია, შესდგება ორი სიტყვისაგან: ობი, ობიშხა—პარასკევი და შკვითი—შვიდი. გამოდის შვიდი პარასკევი. უთუოდ ჩვენს ძველებს დაცინვით დაურქმევიათ კვირეში შვიდი პარასკევი აქვთო.

წელს ბუნებამ აქაურებს არ გაუღიმა, მაგრამ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სულ უღიმოდა, რადგანაც, თითქმის ყოველთვის, როცა ირგვლივ ყველგან წვიმდა, ჩვენს მიდამოებს მოწმენდილი ცა დაჰქათქათებდა. უხსოვარი გვალვები იყო, წვიმა მაშინ მოვიდა, როცა ნათესს უკვე გადაუწყდა, და ისიც არა საკმაოდ. ამისი შედეგი ის იყო, რომ ნათესი მიწას დაასკვნა და ბალახი გახმა. საქონელსაც სიმშილობა მოელის და ხალხსაც.

ჩვენ რომ ფხიზელი და ერთმანეთის მიმყოლი ხალხი ვიყოთ, გვალვა ვერ შეგვაშინებდა. პირიქით, ჩვენ შეგვიძლია ისე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ზაფხულობით გვალვა გვენატრებოდეს და არა წვიმები. ერთის მხრივ, ზაფხულობით გვალვა ჩვენში სანატრელი და სასიქადულო მოვლენაა. ჩვენი და მახლობელი სოფლები დაბლობი ადგილებია და ამიტომ ყოველთვის ჰაერი ნოტიოა. გვალვების დროს კი უფრო სიმშრალეა, ჰაერი საღია და, მაშასადამე, ჯანმრთელობისათვის უფრო მარგებელი.

ხოლო როცა ჩვენში ბევრი წვიმა მოდის, ჰაერი საშინლად მყრალდება მიწის ანაორთქლით, ნოტიოებით ძალზე იჟღინთება, იწამლება და, მაშასადამე, ჯანმრთელობისათვის ძლიერ მავნებელი ხდება.

მაგალითისათვის ავიღოთ მიმდინარე წელიწადი და ორიც წასული და დაუკვირდეთ. წელს, გვალვები რომ არის, ავადმყოფობა ნაკლებია: არ გამიგონია, რომ ვისმესთვის გაეციებიოს. ავადმყოფთა რიცხვი წელს ჩვენში ძლიერ მცირეა; შეიძლება ვსთქვათ, რომ თითქმს სულ არ არის. როცა ციებ-ცხელება არ არის, მაშინ სხვა ავადმყოფობაც მცირეა, რადგანაც ციებ-ცხელებიდგან მრავალი სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობა იბადება.

ყველას კარგად გვახსოვს შარშანდელი წელიწადი, როცა თითქმის სულგაბმით წვიმდა. მაშინ თითქმის ყოველ ოჯახში იმყოფებოდა ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი. მძვინვარებდა ციებ-ცხელება და მისგან წარმომდგარი სხვა სნეულებანი. ჯანმრთელობა კი სიმდიდრესაც სჯობია. ჯანმრთელი კაცი ცოცხალია, მომქმედი. გარდა ამისა, გვალვების დროს გზები მშრალია და მისვლა მოსვლა გაადვილებულია, ლაფში არ ვისვრებით.

სჩანს, წვიმებიანი წელიწადი არც ისე სახარბიელო მოვლენაა, როგორც ჩვენ, აქაურებს, გვეჩვენება.

მაგრამ, მეორეს მხრივ, დღევანდელ პირობებში გვალვა ნახნავ-ნათესის გამანადგურებელია. თუ ნათესს წყალი არ ექნა, იგი მოსავალს ვერ მოგვცემს და სიმშილობა დაგვიდგება.

ახლა იბადება კითხვა, ნუ თუ გვალვის დროს,—რც ესრეთ სასურველია ჩვენი ჯანმრთელობისათვის არ შეიძლება, რომ ცას, ღრუბლისწვეთებს...... ვევედრებდეთ, რომ ყანებმა კარგი მოსავალი მოგვცეს?

ამ კითხვაზე ყოველი ჩვენი სოფელი გვიპასუხებს—კი, როგორ არ შეიძლებაო. თითეულმა ჩვენგანმა იცის ამისი საშუალება. ამისთვის საჭიროა რამდენიმე არხი გამოიყვანონ რიონიდგან ჩვენს საყანე მინდვრებზედ. გარწმუნებთ რომ თითეული არხი თითო მილიონის სარგებლობას მოუტანს ჩვენს ვაკეზედ მცხოვრებლებს. მაშინ არ ვიქნებით ცაში წვიმის წვეთების შემყურე, ტყუილა უბრალო ღრიტინით და საყვედურებით ღმერთს არ შევაწუხებთ და გავირისხებთ ტყუილა უბრალო საყვედურით— ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ღმერთმა ჩვენი საჭიროებისთვის ყველაფერი მოგვანიჭა: სარწყავად მოგვცა დიდი რიონი და სახნავ—სათესად კი ვრცელი მინდვრები. თუ გამოვიყენებთ ღვთის მოცემულს, ჭეშმარიტად, რომ მდიდრები ვიქნებით.

„საღვთოზედ“ ლოთობა ჩვენ არას გამოვადგება. ხშირად გამიგონია ჩხუბიც მოსვლოდეთ მესაღვთოებს. ასეთი ჩვეულება, პირ იქით, ღვთის განმარისხებელია. რა სასიამოვნო იქნება ღვთისათვის, რომ ჩვენ დავთვრეთ და ხანდახან ჩხუბიც მოვაყოლოთ ხოლმე?

მაშ. ჩვენვე გავჭედოთ ჩვენი ბედი. დავიწეროთ პირჯვარი, მოვლენა გადვიხადოთ და შევუდგეთ იმისთანა საქმეს, როგორიც არის რიონიდგან წყლის გამოყვანა ჩვენს საყანე მინდვრებზედ.

რამდენადაც ვიცი, აი ახლა არის ჩვენი ვაკეების სოფლებში ამის შესახებ ლაპარაკი და გვმართებს, რომ მივყვეთ ერთმანეთს, შევთანხმდეთ, გავანძრიოთ ხელი და გავაკეთოთ ასეთი საშვილიშვილო საქმე. თუ მოვინდომებთ, ღმერთი ჩვენი შემწე იქნება ხალხი ჯერ კიდევ იმდენია დარჩენილი, რომ მოერევა ამ საქმეს. საჭიროა შეთანხმდენ ერთმანეთები: გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი, ოფიშკვითი, საყულია ბაში და სხვა. ვუსურვებ ჩვენს ხალხს ამ საქმეში გამარჯვებას.

მარიობის წინადღეს ჩვენ სოფელში გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ირინეს ბედნიერება“ და „უბედური დღე“. მონაწილეობას ღებულობდა ძლიერ ნორჩი ახალგაზრდობა. მათ შორის ზოგი ადგილობრივი იყო და სხვები მოსულები. ხალხი ბევრი დაესწრო, მაგრამ მეტი რომ დასწრებოდა უკეთესი იქნებოდა. იმედია, შემდეგში გამართულს წარმოდგენას უფრო მეტი დაესწრება. წარმოდგენის დროს ერთმა დამსწრეთაგანმა უწესო სიტყვა წამოისროლა. მაგრამ ხალხმა და ინტელიგენციამ მას შესაფერი გაკვეთილი მისცეს. რისი თქმაც სამიკიტნოებშიაც ლოთობის დროს სიტუტუცედ ჩაითვლება, ის თეატრში, ამ ხელოვნების ტაძარში, რასაკვირველია, რომ აზრადაც არ გაიტარება. ჩვენ ვტირით მასში, ვიცინით მომქმედ პირებთან ერთად, რადგანაც იქ ჩვენი ნამდვილი ცხოვრება იხატება თავისი ავკარგით.

წარმოდგენამ სასიამოვნოდ ჩაიარა. ნორჩს სცენის მოყვარეებს, რასაკვირველია, ბევრს ვერ მოვთხოვთ. წაიკითხეს ლექსები, სხვათა შორის ერთი ელეგიური ლექსი ბრძოლის ველიდგან, „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ავტორის სახელი და გვარის მოუწერელად ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა სამაგალითო ელეგიაა. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა ღამის პირველ საათზე. მადლობის ღირსი არიან ის ახალგაზდები, რომლებმაც დიდის ჰაპანწყვეტით მოაწყვეს სცენა. წარმოდგენა მომავალი სამკითხველოს სასარგებლოდ იყო გამართული.

აქეთ რაღაც უცნაური ქათმის სენი გაჩნდა. ანაზდად საღ-სალამათი ქათამი, ბატი, იხვი თუ ინდოური დახუჭავს თვალებს, წააგრძელებს კისერს და განუტევებს სულს. ზოგი თუ კიდევ ცოცხალს უსწრებს, ამისთანაებს ჰკლავს და მიირთმევს ამისთანების მირთმევა მავნებელი უნდა იყოს. ამნაირად ძალიან ბევრი წვრილფეხობა იხოცება ჩვენში და ისეისედაც ღარიბ ოჯახს საზრდო ერთმევა.

თუ ვინმემ იცის ამ ჭირის წამალი გაზეთის საშუალებით გთხოვთ გავცნობოს.

კირ. ძოძუაშვილი.

# ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო.

**(პასუხი სტუდ. ბ. ი. ხ—შვილ').**

(დასასრული იხ. „სამშ." № 429)

თუ ყველა ეს ფაქტები თქვენთვის საკმაო არ იქნება, მაშინ თუ ვილაპარაკებ თვით თქვენგან ნახსენებ პირსაც მეცნიერს ლაცარუსს

მარტინ ფილიფზონი სწერს თავის წიგნში: ერთხელ ქ. ბერლინში მოხდა კრება მთელი გერმანეთის გამოჩენილ ებრაელებისა. დავით ლაცარუსმა წაიკითხა თავისი მეცნიერული ლექცია და დაასკვნა ამნაირათ: „ყოველი ფაქტორი, რაც აერთებს სხვა ერებს ერთმანეთთან ეს ჩვენთვის არ არსებობსო, რადგანაც სარწმუნოება აქაც თავის გალავანს გვარტყამსო, ჩვენთვის კი აუცილებელი საჭიროებაა. ეროვნებით გერმანელი და სჯულით კი მოსეს მიმდევარნი ვიყოთო. ჩვენ, ისტორიაში მდ. რეინის ნაპირებზე 500 წლის წინეთ, ქრისტეს დაბადებამდე, ვიხსენიებოდითო. გერმანიის ცხოვრების ცვლილებაში ყოველთვის დიდი მონაწილე ვყოფილვართ, ამიტომ ჩვენ გავსხვავდებით სხვა ებრაელთაგან, არამც თუ ისტორიით, არამედ ფსიხოლოგიითაც. მაგრამ ყოველთვის შეუძლებელი იქნება ჩვენთვის გერმანელი ვიყვეთ ეროვნებით, ვიდრე სარწმუნოებაში დიდ რეფორმებს არ მოვახდენთო 1) სამშობლო სიონი აღარ უნდა ვახსენოთ იქ სადაც ის იხსენებაო, მხოლოდ მაშინ დაგვრჩება ერთად ერთი სამშობლო გერმანიაო, 2) ამოიშალოს ის ძველი ზნე-ჩვეულება რაც სხვა ებრაელებს აქვთო 3) ებრაელური კულტურა თალმუდი ან სხვა არ იყვეს დაშვებული ჩვენ სასწავლებლებშიო. 4) ამასთანავე ენაც უნდა შეიცვალოსო, ლოცვები გერმანულათ უნდა იყვესო და არა იმ ენით რომელიც გვაკავშირებს სხვა ებრაელებთანო. 5) ტიპიური ყალიბი აღარ იყვეს საკუთარი ებრაელისა, ამისათვის საჭიროა ქორწინების თავისუფლება და არა მარტო ებრაელის ქალისაო და თუ ეს ასე არ მოხდა ძალა-უნებურათ ჩვენ ვერ გავგერმანელებულვართ ვერასოდესაო".

აი. ბ-ნო სტუდენტო! იმ მეცნიერის მოსაზრება, რომელიც თქვენ ახსენეთ-ოორემ მე რომ მეხსენებინა, მაგასაც სიონისტად მონათლავდით.. როცა მე თქვენი პირველი წერილი წავიკითხე სწორედ ვიფიქრე რომ თქვენ ყველა მხრიდან გაცნობილი იქნებოდით ამ საკითხს. და მე მხოლოთ საკითხათ დაგისვით, რატომ ასე არ შვრებითთქო, თქვენ რა მიპასუხეთ? ის, რაც მე მინდოდა და რაც ჩვენ გვანართლებს. თალმუდი, არამბამი, უკანასკნელი პოეტები, როგორც იეუდა ალევი, ბენ გაბიროლი და თვით ბალომიც (რომელზედაც პირველ წერილში ქარიშხალივით სწყრებოდით „ვინ არის ჩვენთვის ბალომიო") თქვენც აღიარეთ, ებრაელური ენაც გისურვებიათ, რომ ვასწავლოთ. აბა ახლა მითხარით პატივცემულო მკითხველნო! რაღაში ყოფილა ჩვენი დავა? სიონისტობაზე! სიონისტები სულ 60,000 მთელ ქვეყანაზე ებრაელობა კი 14 მილიონია; ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ებრაელის ენაზე და არა სიონისტობაზე, რომელსაც პარტიული ხასიათი აქვს და არა ეროვნული; შეგვიძლია არ ვიყოთ თ. ბ. გერცელის სიონისტობის მომხრე, მაგრამ გიმეორებთ „ებრაელი კი ვართ ისე როგორც ყველა ებრაელი". იმის შემდეგ რომ თქვენ წერილში ჩვენი კულტურაც, ლიტერატურაც 1) ებრაული ენაც აღიარეთ საჭიროთ, რაღა უფლება გაქვთ, რომ თქვენ კიდევ გაგვიმეოროთ ის რომ თქვენ ქართველი ხართ ეროვნებით? თუ მიპასუხებთ: ყველა შენგან ნათქვამი „სარწმუნოებითი ხასიათის საგნებიაო", ხომ აგიხსენით ზემოთ რომ „მთელ ჩვენ ცხოვრებას მხოლოდ სარწმუნოებითი ხასიათი აქვს". ასე ჩემო, ბატონო, 2) ძალიან „გაებრაელებულხართ" ამ ცოტა ხანში მე კი მეტს არაფერს ვითხოვ, რაც თქვენ თქვენი პატიოსანი პირით არ აღიარეთ. ჩვენ არც ვითხოვთ რომ ჩვენი ენა გავაბატონოთ საქართველოში ან და ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ვაწარმოვოთ. ქართული ენა კიდე იქნება როგორც იყო დედა ენათ და უფროც ვეცდებით მის გამდიდრებას. ქართველი ერის პოლიტიკა იქნება ჩვენი პოლიტიკა და მათთან ერთად ხელ ჩართული ვივლით. ჩემი ებრაელობა ხელს არ შემიშლის, რომ საქართველოს თავი შევსწირო და არც ქართველობა შემიშლის ხელს რომ ებრაელობა მტკიცეთ შევინახო, მისი კულტურა კარგად შევისწავლო და არ ვიყვე დამახინჯებული ებრაელი... თქვენ დიდი დანაშაული მიგიძღვით ჩემ წინაშე რომ ჩემ წერილს „პროვაკაცია" უწოდეთ მაგრამ მაინც გაპატიებთ, შორიდან ხელს გიწვდით და გიძახით: ახალ-გაზდა ისრაელო! იყავი კარგი პატრიოტი საქართველოსი, ემსახურე ერთგულად ქართველი ერის ინტერესებს, მაგრამ ნურც შენ ძმებს დაივიწყებ, მათკენაც გადმოიხედე!...

ონის ებრაელების რაბინი დავით ბააზოვი.

1) იხ. история послѣдней эпохи. ნათარგმნი მარგოლინისა.

2) იეუდა ალევის თუ გაბიროლის პოეტური ნაწარმოები განა ლიტერატურა არ არის?

---

# პროვინციის ცხოვრება.

არა მგონია რომ რომელიმე ქარხნისა, და ან რომელიმე წარმოების მუშათა ცხოვრება იყოს ასეთი ბედკრული და აუტანელი, როგორც ტყიბულის მაღაროების მუშათა ცხოვრებაა. საკმარისია ერთხელ გადაავლოთ თვალი ამოდენა მუშათა დუხჭირ ცხოვრებას, და თქვენ გადაგეშლებათ თვალ წინ ბატონ-ყმობის ეპოქა, მთელის თავის მტარვალობითა, უსამართლობითა, და ადამიანის პიროვნების ფეხქვეშ გათელვითა.

როდესაც ამ არემარეს ათვარიელებს კაცი განცვიფრებაში მოდის იმ დესპოტიზმით, რომელიც აქ ტრიალებს. აქ მუშას დაუკარგავს ყოველივე თავისი უფლებანი და მათ ბედ იღბალს მადა გახსნილი მწარმოებელნი განაგებენ.

როგორც ვიცით, დღევანდელ მსოფლიო ომს აწარმოებენ, არა მარტო ჯარის კაცები თავიანთ სანგრებიდან, არამედ ჯარიც ფაბრიკა-ქარხნებიდან, სადაც არმიისათვის საომარ და სხვა საჭირო სურსათ იარაღებს ამზადებენ. ამიტომ იყო, რომ პირველ საყოველთაო მობილიზაციის დროიდანვე ყურადღება მიაქციეს ზოგიერთ სამრეწველო ცენტრებს, და იქიდან ჯარის კაცები არ გაიყვანეს. არ გაიყვანეს არა მარტო სამხედრო ქარხნებიდან, არამედ ისეთ სამრეწველო ცენტრებიდანაც, როგორიცაა დონის ქვა-ნახშირის რაიონი ბაქო, ჭიათურა, და თვით „ნახშირის" მაღაროების მუშებიც შემდეგ მობილიზაციისთვის ეს შეღავათი კიდევ უფრო გააფართოვეს, და დღეს ასეთ შეღავათიან სამუშავოებზედ უკვე მილიონობით მუშა მუშაობს. ამას მოითხოვდა სახელმწიფოებრივი, თვით მსოფლიო ომის აუცილებელი საჭიროება. ასე მოიქცნენ არა მარტო ჩვენში, არამედ ყველა მეომარ სახელმწიფოებში. შეღავათი შემოიღეს სახელმწიფოს აუცილებელ საჭიროებისთვის, და არა მადა გახსნილ სომეხ ხაზეინებისათვის, რომლებმაც ეს მოვლენა თავის საკუთარ უპირატესობათ გამოაცხადეს და მაშინვე საექსპლოტაციო ობიექტათ გამოიყენეს. ისინი ამაღლიან მუშებს, რომ მათ სამუშავო ჯარში წასვლისაგან ათავისუფლებს, რომ მისი წყალობით ის ცოცხალი რჩება და სხვ. ყველაზედ უფრო სავალალო ის არის, რომ ტყიბულის მაღაროების დამქირავებლების დამოკიდებულება პირდაპირ ბატონყმურ დამოკიდებულებას მოგვაგონებს. ხაზეინების მადა აქ პირდაპირ განუსაზღვრელია. ისინი ყოველ დღე კიდევ უფრო აუარესებენ შრომის პირობებს, ადიდებენ სამუშაო დროს, უკლებენ სამუშაო ხელფასს და სხვ. მათი გაუმაძღრობა მით უფრო აუტანელია, რომ ასეთ დარგებში ფაქტიურათ გაუქმებულია ის უფლებათა ნამცეცებიც, რასაც მუშებს იმპერიის მუშათა კანონდებლობა ანიჭებს.

საკმაოა მუშამ, ათას უსამართლობის წინაშე ხმა აღიმაღლოს, ან დღიურ ხელფასის მომატება ითხოვოს (რომელიც 1 მ. 20 კ. არ აღემატება. უმეტეს შემთხვევაში მუშა ღებულობს 80 კაპ. ან 1 მან.) რომ მაშინვე მას სამხედრო უფროსით დაემუქრონ, და საწყალი მუშაც უსიტყვოთ თავს ჩაღუნავს.

მე შემეძლო ამის საილიუსტრაციოთ მრავალი მაგალითი მომეყვანა, ჩვენი მუშების ცხოვრებიდან, მაგრამ მკითხველისათვის ეს ზედმეტი იქნება, ვინაიდგან ასეთ მაგალითებს ის მრავალს იხილავს თვით მუშა კორესპოდენტთაგან; ჭიათურიდგან ბათუმიდან ართვინიდან ტრაპიზონიდან და სხვ. მხოლოდ ტყიბულის მუშებზე არავინ ხმას არ იღებს, იმ მუშებზე, რომლებიც ხელთ ჩაუგდიათ ხაზეინებს და უმწეო ხალხს ზომაზედ მეტად ამუშავებენ.

აი აქ არის საჭირო დახმარება და ახსნა-განმარტება თუ როგორ პირობებში მუშაობენ დღეს ასეთივე წარმოების სხვა მუშები, რამდენს ღებულობენ დღიურ ხელფასს. რა მოთხოვნილებანი უნდა წარმოუდგინონ ხაზეინებს, რომ ცოტათი მაინ გაიუმჯობესონ თავიანთი ბედი. როგორ უნდა შეკავშირდნენ ყველა მუშები, რომ მოაწესრიგონ თავიანთი შინაური საქმეები. (აღსანიშნავია რომ მთელი ამოდენა მუშები შავი პურითა და წყლით იკვებებიან. ნუ თუ არ შეიძლება რომ შეკავშირებული ძილით სასადილო დაარსონ, და თუ სხვა არ იქნება ლობიო მაინც მოიხარშონ?) აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ ამოდენა მუშებში ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს. ყველა ამ უბედურებათა წინააღმდეგ შეიძლება ბრძოლა მხოლოდ შეკავშირებით, ვინაიდგან ძალა ერთობაშია.

დიახ! მუშები უნდა შეკავშირდეთ, და თავის ცხოვრების გაუმჯობესებაზედ თითონვე იზრუნონ, ვინაიდგან დღეს ისინი მუშაობენ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ომის საჭიროებებისთვის, და ამისათვის მათ ვერავინ დაუშლის, რომ კანონიერი მოთხოვნილებანი წარუდგინონ თავის ხაზეინებს.

გ. ხაინდრავა.

---

**ჩხარი** მთელ ზაფხულის განმავლობაში დ. ჩხარში ზედიზედ იმართება წარმოდგენები სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით. ამ წარმოდგენებს უმეტეს შემთხვევაში მეთაურობენ ხოლმე სრულიად მოუმზადებელი ხალხი და წარმოდგენებზე შემოსული ფულიც დასახულ მიზანს ვერ აღწევს.

წარმოდგენის მეთაურებს თავიანთი თავი გამოჩენილ მსახიობათ მოაქვთ.

უველაფერს რომ თავი დავანებოთ, გასაოცარია მაინც ერთი რამ: დარბიან ქუჩა-ქუჩა ეს ვაჟბატონები და გინდათ თუ არა ძალით გაჩრჩებენ ხელში ბილეთებს. საკვირველია დმერთმანი! დღეს ისიც საკმარისია, რა უბედურობა გვადგია თავზე ყველას და მერე კიდევ ასე ნამცხადევათ ყვლეფა საცოდავი ხალხისა მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს.

ჩვენ არასოდეს წინააღმდეგი არა ვართ პროვინციებში წარმოდგენების მართვისა და დაბასოფლების ფართო დემოკრატიული მასსის ზნეობრივად ზრდა-განვითარების, მაგრამ ისეთი წარმოდგენების კი, როგორიც ამ ჟამად დ. ჩხარში იმართება ხოლმე, სასტიკი წინააღმდეგი ვართ და ვიქნებით ნუ თუ ისე უნდა დაკნინდეს თეატრისა და ხელოვნების, ამ უძვირფასესი განძის საქმე, რომ პროვინციებში სრულიად მოუმზადებლათ ჩაუვარდეს მისი მეთაურობა ხელში?! დიაღ, ჩვენ ეს გვაშფოთებს და სამართლიანიც არის ჩვენი აღშფოთება.

ი. ძირულისპირელი

---

ს. „**შროშა**" (შორა. მაზ.) მდებარეობს ს. შროშისა არის მთა გორიანი: უმთავრესად იქ ცხოვრობენ გლეხები რომლებიც მეურნეობას მისდევენ მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა ზემო ხსენებული დარგი შრომისა ვერ აკმაყოფილებს აქაურ მცხოვრებლების მოთხოვნილებას კულტურულ დაწესებულებებით ეს სოფელი ბევრათ არ არის ჩამორჩენილი სხვა მოწინავე სოფლებზე აქ არსებობს შემდეგი კულტურული დაწესებულებები: 2 კლასიანი სასწავლებელი სამკითხველო, შემნახველ გამსესხებელი საკრედიტო ამხანაგობა, და მომხმარებელი საზოგადოება. უმაგალითო ომის ქარცეცხლმა ეს სოფელი ნამეტან კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. ამას ზედ დაერთო ხალხის გამოღვიძება და მან დაარსა მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც დიდ დახმარებას უწევს დამშეულებს. ამ უკანასკნელ ხანებში აქედან უკვე დაიწყეს გზავნა სხვადა სხვა ქარხნებში სურიკის და ცეცხლის უპოვართიხისა რის წყალობითაც ეკონომიური მდგომარეობა აქაური გლეხებისა ცოტათ თუ ბევრათ გაუმჯობესდა არ შემიძლია არ აღვნიშნო აქაური ზოგიერთი ვაჟბატონების საქციელი როდესაც მთელი. რიგი საკითხებისა დღევანდელი უმაგალითო სისხლის ღვრის დროს წარმოშობილი თხოულობს მათ გარკვევას და გაშუქებას გამოსულან ზოგიერთი ვაჟბატონები და მთელ ღამეს ატარებენ კარტ ნარდის თამაშში. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

შალვა მ. თაბაგარი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო მღვდელი იასონ აბესაძე, რომელმაც ქუჩაში დაუმსახურებელი შეურაცყოფა მომაყენა.

ჩემის მხრივ ვასახელებ მოსამართლეთ მღვდლებს: მამა ექვთიმე მაჩიტაძეს და დომენტი ბარათაშვილს. თქვენც, მამა იასონ, დაასახელეთ თქვენის მხრივ მოსამართლენი და ესენი ერთმანეთის თანხმობით აირჩევენ სასამართლოს თავჯდომარს. საქმე უნდა გაირჩეს თვით დ. ბა ჩხარში ადგილობრივი ინტელიგენციისა და ფართო მასსის თანადასწრებით. და, თუ ვინმე ღირსია თქვენ მიერ გადმოსროლილი სიტყვისა, თქვენს გარდა ღრმად პატივცემულმა მკითხველმა საზოგადოებამაც დამსდვას მსჯავრი, თუ არა, თქვენ ბოდიში უნდა მოიხადოთ საჯაროთ ყველას წინაშე და უკანვე უნდა წაიღოთ თქვენ მიერ გადმოსროლილი სიტყვები. ვადად გაძლევთ შვიდ დღეს ამ წერილის გამოქვეყნებიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში სრულს უფლებას ვიტოვებ ყოველ ნაბიჯზედ და ყველას წინაშე მეც შესაფერი სიტყვებით გაგიმასპინძლდეთ.

ჩხარის ოქონის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი იოილ ფანჩულიძე.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 20 „ |


# გამოიცა და იყიდება.

## გ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое слово" ნაწ 1 მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული. შედგენილი **ს. ოცხელის** მიერ. ფ. ედით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდიული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა" თანაგრძობით შეხვდა პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდის შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ „Новое слово" თი სწავლებით მოწაფეები არა ჩვეულებრივ ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას. სამოსწავლო ოლქმა, თანახმად ოლქის მზრუნველის დადგენილებისა, ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია. Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ.

287 5—3

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მოშანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)